962

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 22 (182) 10 აგვისტო 1962 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

354. ოქმი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ვაჭრობისა და ზღვაოსნობის საერთო საკითხებზე 1958 წლის 25 აპრილის შეთანხმების მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ.
355. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შვეციაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან თ. ტ. გუსევის გათავისუფლების შესახებ.
356. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შვეციაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ნ. დ. ბელოხვოსტიკოვის დანიშვნის შესახებ.

განყოფილება მეორე

357. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ს. ჩერნიშევის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

ცნობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნების შესახებ.
სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფში.

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება მეორე

358. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
359. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

ო ქ მ ი

354 **საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ვაჭრობისა და ზღვაოსნობის საერთო საკითხებზე 1958 წლის 25 აპრილის შეთანხმების მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ**

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ვაჭრობისა და ზღვაოსნობის საერთო საკითხებზე 1958 წლის 25 აპრილის შეთანხმების მოქმედების ვადის გასვლასთან დაკავშირებით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა შეთანხმდნენ ქვემომოყვანილზე:

1. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის 1958 წლის 25 აპრილის შეთანხმება ვაჭრობისა და ზღვაოსნობის საერთო საკითხებზე გრძელდება სამი წლის ვადით 1961 წლის 1 იანვრიდან.

აღნიშნული შეთანხმება უცვლელი რჩება, გარდა 4 მუხლისა, რომელსაც ემატება შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა კვლავაც დართავენ ნებას ორივე სახელმწიფოს ხომალდებს მონაწილეობა მიიღონ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ნაოსნობაში და საერთაშორისო ნაოსნობაში იხელმძღვანელებენ თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის პრინციპით“.

2. ეს ოქმი რატიფიცირებულ იქნება რაც შეიძლება უმოკლეს დროში და ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღეს, რაც მოსკოვში მოხდება. ამ ოქმის დადგენილებანი დროებით გამოიყენება 1961 წლის 1 იანვრიდან.

თუ შეთანხმების დამდები არცერთი მხარე 1962 წლის 31 დეკემბრამდე წერილობით არ განაცხადებს იმის შესახებ, რომ 1 პუნქტში მოხსენებული შეთანხმება მოქმედებას წყვეტს 1963 წლის 31 დეკემბერს, მაშინ იგი ძალაში დარჩება მანამდე, სანამ დენონსირებულ არ იქნება შეთანხმების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ.

1963 წლის 31 დეკემბრის შემდეგ შეთანხმების დამდებ თითოეულ მხარეს შეუძლია ყოველ დროს წერილობით განაცხადოს თავისი სურვილი შეთანხმე-

ბის მოქმედების შეწყვეტის შესახებ; ასეთი განცხადების შემთხვევაში შეთანხმება ძალაში დარჩება კიდევ ერთი წლის განმავლობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადებულია ბონში 1960 წლის 31 დეკემბერს ორ დედან ეგზემპლარად, თითოეული რუსულ და გერმანულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვთ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის რწმუნებით
ა. სმირნოვი.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებით
ა. ვან ზერპენბერგი.

* * *

რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1961 წლის 21 თებერვალს; გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ 1962 წლის 2 ივნისს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა მოსკოვში 1962 წლის 26 ივლისს.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

355 შვეიცარიაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან თ. ტ. გუსევის გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს თევდორე ტარასის ძე **გუსევი** სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან შვეიცარიაში სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 24 ივლისი.
№ 343-VI.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

356 შვეიცარიაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ნ. დ. ბელოხვოსტიკოვის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ნიკოლოზ დიმიტრის ძე **ბელოხვოსტიკოვი** სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად შვეიცარიაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 24 ივლისი.
№ 344-VI.

განკოფილება მეორე

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

357 **ამხ. ი. ს. ჩერნიშევის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ**

დიპლომატიურ სამუშაოზე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბრაზილიაში ამხ. ილია სიმონის ძე **ჩერნიშევი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 2 აგვისტო.
№ 353-VI.

განკოფილება მესამე

ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნების შესახებ

1962 წლის 22 ივლისს კოლომნის № 31 საარჩევნო ოლქში გაიმართა არჩევნები კავშირის საბჭოში.

კავშირის საბჭოს დეპუტატად კოლომნის № 31 საარჩევნო ოლქში არჩეულია ამხ. ვასილ ივანეს ძე **პოლიაკოვი**, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოკავშირე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე.

სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფში

ა/წ 30 ივლისს კრემლში სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარის ი. ვ. სპირიდონოვის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის კომიტეტის სხდომა.

კომიტეტმა განიხილა შემდეგი საკითხები: რომში გამართულ საპარლამენტთაშორისო კავშირის ორგანოების სხდომებში სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის დელეგაციის მონაწილეობის შესახებ (დელეგაციის ხელმძღვანელის ი. ი. პალეცკისის ცნობა); საპარლამენტთაშორისო კავშირის 51-ე კონფერენციისათვის სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის მზადების შესახებ (სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილის ი. ვ. პეიფეს ცნობა);

სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის, საბჭოთა კავშირ-ინგლისისა და საბჭოთა კავშირ-იტალიის სექციების შემადგენლობის შესახებ (ი. ვ. სპირიდონოვის ცნობა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომიტეტმა ყველა საკითხზე მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება მეორე

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

358 საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რკინიგზელის დღესთან დაკავშირებით და ხანგრძლივი და ნაყოფიერი საინჟინრო მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება:

1. გიორგი მიხეილის ძე **აბზიანიძეს** — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების მოძრაობის განყოფილების უფროსის მოადგილეს

2. ალექსანდრე ანტონის ძე **ანტონოვს** — პენსიონერს

3. გიორგი კარპეს ძე **ბაგაროვს** — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების სალოკომოტივო მეურნეობის განყოფილების უფროსის მოადგილეს

4. ლეონიდე ალექსანდრეს ძე **ბარნაბიშვილს** — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ელექტროფიკაციისა და ენერგეტიკის სამსახურის განყოფილების უფროსს

5. გიორგი ივანეს ძე **გასან-ჯალალოვს** — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მუშაკს

6. ისიდორე ალექსანდრეს ძე **გვანცელაძეს** — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების მოძრაობისა და სატვირთო სამუშაოების განყოფილების უფროსის მოადგილეს

7. თამარ იუსტინეს ასულ **გოგისვანიძეს** — ამიერკავკასიის რკინიგზის ზესტაფონის სალიანდაგო დისტანციის ინჟინერს

8. ნოე სპირიდონის ძე **დევიძეს** — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს საგზაო სამშენებლო ტრესტის მთავარ ინჟინერს

9. ვერა ზაქარიას ასულ **თუთარაშვილს** — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების მოძრაობისა და სატვირთო მუშაობის განყოფილების უფროს ინჟინერს

10. გიორგი არტემის ძე **თურქაძეს** — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ტექნიკური განყოფილების უფროსის მოადგილეს

11. ვერა ნიკოლოზის ასულ **ივანოვას** — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ხელოვნურ ნაგებობათა საპროექტო ჯგუფის ხელმძღვანელს

12. ილია ტარასის ძე **კახიანს** — ამიერკავკასიის რკინიგზის სოხუმის დისტანციის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის უფროსს

13. დავით სამსონის ძე **კლიმიაშვილს** — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სავაგონო სამსახურის მთავარ ინჟინერს

14. დიმიტრი კონდრატის ძე **მალრაძეს** — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს საგზაო სამშენებლო ტრესტის უფროსს

15. ლაზარე მიხეილის ძე **მაშკევიჩს** — პენსიონერს

16. ნიკოლოზ ანდრიას ძე **მახათაძეს** — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სალიანდაგო სამსახურის საინჟინრო-გეოლოგიური ბაზის უფროსს

17. ნიკოლოზ ივანეს ძე **მელიქოვს** — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს საგეგმო-ეკონომიური განყოფილების უფროსის მოადგილეს

18. ალექსანდრე ალექსის ძე **პაიჭაძეს** — ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის საელმავლო დეპოს მიმღებ ინსპექტორს

19. გიორგი იპოლიტეს ძე **ყორუოლაძეს** — ამიერკავკასიის რკინიგზის პროფკავშირის საგზაო კომიტეტის თავმჯდომარეს

20. გიორგი ივანეს ძე **რამიშვილს** — ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების მატარებლების უსაფრთხო მოძრაობის რევიზორს

21. ალექსანდრე ნიკოლოზის ძე **ტამრაზოვს** — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამსახურის უფროსს

22. აკაკი არსენის ძე **ფირცხალავას** — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს შრომის, ხელფასისა და ტექნიკური უშიშროების განყოფილების უფროსს

23. ალექსანდრე დავითის ძე **ქოქრაშვილს** — ამიერკავკასიის რკინიგზის სალიანდაგო სამსახურის უფროსის მოადგილეს

24. ალექსანდრე მათეს ძე **შავიძეს** — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების საბარგო სავაგონო დეპოს უფროსს

25. შალვა ესტატეს ძე **შენგელიას** — ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების საგეგმო ტექნიკურ-ეკონომიური განყოფილების უფროსის მოადგილეს

26. გიორგი ნიკოლოზის ძე **ჩადუნელს** — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების სამგზავრო განყოფილების უფროსს

27. აკაკი სიმონის ძე **ჩარკვიანს** — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების საელმავლო დეპოს უფროსს

28. მიხეილ მაქსიმეს ძე **ცაგურიას** — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების სალოკომოტივო მეურნეობის განყოფილების უფროს ინჟინერს

29. ბიძინა ესტატეს ძე **ჭყოიძეს** — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების მოძრაობის რევიზორს

30. მიხეილ იასონის ძე **ხიხაძეს** — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მატარებლების უსაფრთხო მოძრაობის გზის რევიზორის თანაშემწეს

31. ვახტანგ ტიმოთეს ძე **ჯიქურაშვილს** — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების სავაგონო მეურნეობის განყოფილების უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1962 წლის 4 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

359 საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რკინიგზელის დღესთან დაკავშირებით და თვალსაჩინო რაციონალიზატორული წინადადებებისათვის, რომელთა დანერგვამ მნიშვნელოვანი ეკონომიური ეფექტი მოგვცა მიენიჭოთ საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის საპატიო წოდება:

1. ვალერიან ალექსის ძე **ბახტაძეს** — პენსიონერს
2. ალექსანდრე ვლადიმერის ძე **ენუქიძეს** — თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის ზეინკალს
3. ალექსი ვასილის ძე **ფიონინს** — ამიერკავკასიის რკინიგზის ენერგომომარაგების თბილისის უბნის სარემონტო-სარევიზიო საამქროს უფროსს
4. დერენიკ ოვაკიმის ძე **ჩილინგაროვს** — ამიერკავკასიის რკინიგზის სალიანდაგო სამსახურის მექანიზაციის განყოფილების ინჟინერს
5. სევერიან ბესარიონის ძე **ხაჭაპურიძეს** — ამიერკავკასიის რკინიგზის ნავთლულის სალიანდაგო დისტანციის ხიდების ოსტატს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1962 წლის 4 აგვისტო.